

სიღარიბის დაქვეითის მიზნობრივი პროგრამები

შოთა გურული
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სიღარიბე მსოფლიოს ბევრი ქვეყნისათვის გადაუჭრელ პრობლემად იქცა. უამრავი ადამიანი ცდილობს გამოიხადოს გზა და შეებრძოლოს მას. იმის გამო, რომ შემოსავალი უსამართლოდ ნაწილდება, ინდივიდები ვერ თანხმდებიან სახელმწიფო რა ტიპის განაწილების პოლიტიკა გაატაროს. ზოგიერთი კრიტიკოსის ინტერესის საგანია: უნდა მონაწილეობდეს თუ არა სახელმწიფო შემოსავლის განაწილებაში?

პოლიტიკური ფილოსოფიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ტრადიცია კონკრეტულად მიუთითებს იმაზე, რომ შემოსავლის განაწილებაში სახელმწიფო უხეშად არ უნდა ჩაერიოს. სახელმწიფოს ყველაზე მინიმალურმა ინტერვენციამაც კი შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს შემოსავლის განაწილებაზე.

„მთავრობის მთელი ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობის ერთი ფენიდან მაქსიმალური ოდენობის თანხა ამოიღოს და მეორე ფენას გადასცეს“ [Wolters Jürgen, Money Demand in Europe, Humboldt University, Berlin, 1997, p. 38]. ვოლტერის ეს მტკიცება შესაძლოა ოდნავ გადაჭარბებულია, თუმცა, ყველა ჭეშმარიტად პოლიტიკური საკითხი შემოსავლის განაწილებას უკავშირდება. თუ ვინ მოიგებს და ვინ წააგებს, ეს სადისკუსიო საგანია.

ბოლო პერიოდში, მოსახლეობის სოციალური დაცვა ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა. ბოლო ათწლეულების ეკონომიკური, თუ დემოგრაფიული ტენდენციებიდან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფომ დროულად განახორციელოს სოციალური რეფორმები, რაც ადეკვატურად უპასუხებს არსებულ სიტუაციას.

საკვანძო სიტყვები: სიღარიბე; სოციალური პროგრამები; სიღარიბის დაძლევა; მიზნობრივი დახმარება; უნივერსალური პროგრამები.

TARGET PROGRAMS FOR POVERTY REDUCTION

Shota Guruli
GTU PhD student

RESUME

Poverty has become an unresolved problem for the whole world. A lot of people are trying to find the way and fight it. Because income is unfairly distributed, individuals can not agree whether the state should have

a policy of distribution. Some critics ask the question: Should the participation in the restructuring structure of the state revenue be divided?

Some important traditions of political philosophy specifically indicate that the state should not interfere in the distribution of income. Even the most minimal intervention of the state affects the distribution of income.

“The whole art of the government is to remove the maximum amount of money from one of the population and transfer it to the second layer.” This claim of Volta may be somewhat exaggerated, but all genuine political issues are related to distribution of income.

In recent years, social protection of the population represents the main task of social policy of any state. Depending on the economic and demographic trends of the last decade, it is necessary to take the necessary social reforms in a timely manner that will adequately respond to the current situation.

Keywords: Poverty; Social programs; Poverty reduction; Target assistance; Universal programs.

* * * *

ფინანსური ბაზარის სტაბილურობა მთავრობას აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს სიღარიბე და გაზარდოს მოსახლეობის კეთილდღეობა, როგორც ფინანსური კუთხით, ასევე კულტურული ასპექტით. განვიხილოთ სიღარიბის დაძლევის რამდენიმე მიზნობრივი პროგრამა დადებითი და უარყოფითი მხრიდან.

კეთილდღეობის თეორიებში არსებობს ორი ძირითადი მიდგომა, რომელიც მიმართულია სიღარიბის აღმოფხვრაზე. პირველია უნივერსალური მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოების თითოეული წევრისთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფაზე, რათა მათ შეძლონ სიღარიბის უფსკრულიდან ამოსვლა. შესაბამისი გარემოში იგულისხმება განათლების, საკვების, თავშესაფრისა, ჯანდაცვის და ზოგადად განვითარების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობა. უნივერსალური მიდგომა ხორციელდება ადეკვატური ჯანდაცვისა და განათლების პროგრამების განხორციელებით, მინიმალური ხელფასის და უმუშევრობის დაზღვევის პროგრამების გატარებით. სიღარიბის დაძლევის პროგრამა ებრძვის სიღარიბის გამომწვევ ფუნდამენტურ პრობლემებს. შეიძლება ითქვას, რომ სიღა-

რიბის დაძლევის უნივერსალური პროგრამა უფრო ხალხზეა ორიენტირებული.

ამ სოციალური დაცვის პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია - სკანდინავიური მოდელი, რომელიც დანიაში, შვედეთსა და ფინეთში მოქმედებს. ამ მოდელით სოციალური მომსახურება განისაზღვრება, როგორც მოქალაქეთა საყოველთაო უფლება თანაბარი, გადასახადების ხარჯზე დაფინანსებული სოციალური უზრუნველყოფით სარგებლობისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალური დაცვა აღიქმება არა როგორც მოწყალეობა სახელმწიფოს მხრიდან, არამედ როგორც მოქალაქის კანონიერი უფლება.

სკანდინავიური მოდელის განმასხვავებელი შტრიხი იმ მრავალი სოციალური რისკისა და ცხოვრებისეული სიტუაციის მასშტაბურად მოცვაა, რომელიც საზოგადოების მხარდაჭერას მოითხოვს. სოციალური მომსახურება, როგორც წესი, გარანტირებულია ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის და ის არ განისაზღვრება დასაქმებულის სტატუსით და სადაზღვევო შენატანებით. საერთო ჯამში, სოციალური დაცულობის დონე საკმაოდ მაღალია. ეს უპირატესად მიიღწევა აქტიური გადანაწილებითი პოლიტიკით, რომელიც შემოსავლების გათანაბრებისკენ არის მიმართული.

აღნიშნული მოდელის მოქმედების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მაღალორგანიზებული საზოგადოება, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე ზრუნავს. სოციალური დაცვის დაფინანსების ძირითადი წყარო ერთიანი საგადასახადო სისტემაა, თუმცა გარკვეული წილი მენარმეთა და ქირით მომუშავეთა სადაზღვევო შენატანებზეც მოდის. სახელმწიფო სოციალური დაცვის ერთიანი სისტემიდან გამოყოფილია მხოლოდ უმუშევრობის დაზღვევა, რომელიც ნებაყოფლობითია და მას პროფკავშირები წარმართავენ.

სკანდინავიური მოდელის ძირითადი პრინციპი მისი უნივერსალურობაა - იგი მოსახლეობის ყველა ფენას მოიცავს. ამ მოდელის მნიშვნელოვანი პრინციპი - სოლიდარობის პრინციპია, რომელიც ევროპის ბევრი სხვა ქვეყნის სოციალური ეკონომიკისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ყველაზე უკეთ შვედეთში განხორციელდა. მისი არსი ისაა, რომ ყველა მოქალაქე, სოციალური სტატუსის მიუხედავად, თანაბრად მონაწილეობს სოციალური დაცვის სისტემის დაფინანსებაში, თავისი შემოსავლის შესაბამისი წვლილის შეტანით.

შვედეთის სოციალური დაცვის სისტემა მოიცავს პრაქტიკულად ყველა ძირითად სოციალურ დახმარებას. სოციალური დახმარებების სტანდარტებს, რომლებიც ფასების ცვალებადობასა და ინფლაციის პროცენტს ითვალისწინებს, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საბჭო განსაზღვრავს და მოქალაქეთა წინა შემოსავლების 75-80%-ის ფარგლებში მერყეობს. 1998 წლიდან შვედეთში დახმარების სამი სახე მოქმედებს:

• დახმარებები ძირითადი საჭიროებისთვის [პირველადი საჭიროების დახმარებები];

• დახმარებები ხანგრძლივი საჭიროებისთვის [ხანგრძლივი პერიოდის დახმარებები];

• სხვა სახის დახმარებები.

შვედური მოდელის “ოქროს ხანა” მოდის XX საუკუნის 60-იდან _ 70-იანი წლების დასაწყისზე, როდესაც ქვეყანა მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის მიხედვით უმდიდრეს სახელმწიფოთა შორის მესამე ადგილზე იმყოფებოდა. 70-იანი წლების ეკონომიკური კრიზისი შვედეთს უფრო მოგვიანებით შეეხო, ვიდრე დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანას: მისი შედეგები საგრძნობი გახდა მხოლოდ 1977 წლიდან, როდესაც მოიმატა უმუშევრობის დონემ, გაიზარდა ბიუჯეტის დეფიციტი და შემცირდა სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა.

90-იანი წლების დასაწყისში უმუშევრობის დონე საშუალო ევროპულს გაუთანაბრდა და 10-14% შეადგინა. ამან ზოგიერთ ანალიტიკოსს საფუძველი მისცა შვედური მოდელის აღსასრულზე ელაპარაკა. სოციალ-დემოკრატები იძულებულნი გახდნენ განეხილათ სოციალური სახელმწიფოს შვედური მოდელის ეფექტურობა მომავალში და ამომრჩეველთა დამოკიდებულება სოციალური სახელმწიფოსა და სახელმწიფო სექტორის მუდმივი გაფართოების მიმართ.

აქედან მოყოლებული, მმართველი კაბინეტის პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად, შეინიშნებოდა სოციალური სექტორის დაფინანსების თანდათანობით შემცირების ტენდენცია სახელმწიფოს მხრიდან. გარდა ამისა, გადაისინჯა შემწეობების მოცულობა, განისაზღვრა მათი მიღების დროის ფარგლები და შემცირდა სოციალურ სექტორში დასაქმებულთა რიცხვი. პარლამენტსა და რიგ პოლიტიკურ პარტიებში განიხილებოდა სოციალური დაცვის საყოველთაო პრინციპიდან არჩევითზე გადასვლის, ანუ მოსახლეობის უფრო ნაკლებად დაცული ფენების მხარდაჭერის საკითხები. მოვლენათა ასეთი განვითარება არცთუ მცირე რისკს შეიცავს. რამდენადაც სოციალ-დემოკრატების მიერ ათწლეულების მანძილზე შექმნილ “გათანაბრების” სისტემას საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს არა მხოლოდ მემარცხენეთა, არამედ ლიბერალურად განწყობილ ამომრჩეველთა რიგებშიც. სოციალურ სფეროზე დანახარჯების ზომიერი შემცირებაც კი, როგორც წესი, მტკივნეულ რეაქციას იწვევს მოსახლეობისა და პროფკავშირების მხრიდან და ამჟამინდელი ხელისუფლება იძულებულია ანგარიში გაუწიოს მსგავს განწყობებს.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ხელი-სუფლებამ შეიმუშავა ფინანსური პოლიტიკის ე.წ. შუალედური გზა. სოციალ-დემოკრატების ძველი პოზიციები, რომლებიც ორიენტირებული იყო საყოველთაო კეთილდღეობაზე, ნაწილობრივ შეენი-რა შედეგების საზოგადოების “ახალი ეკონომიკის” მიმართულებით გარდაქმნას. ხელისუფლება, ერთი მხრივ, ცდილობს მოძენოს კომპრომისი საზოგა-დოების სხვადასხვა ფენებს შორის; მეორე მხრივ, კი ის იძულებულია გადაანყოს სოციალური დაწესე-ბულებები ევროკავშირის ნორმების შესაბამისად. ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ სოციალური პოლიტიკის ასეთი ცვლილებები განპირობებულია როგორც ეკონომიკური ხასიათის გლობალური ახალი პროცესებით, ასევე თვით შევედურ საზოგა-დოებაში ღირებულებათა ორიენტირების ცვლით.

კეთილდღეობის თეორიის მეორე ძირითადი მი-დგომაა მიზნობრივი დახმარება. ეს არის ერთგვარი შემაჩერებელი წინაღობა, რის საშუალებითაც მდიდრები და მთავრობის ხელმძღვანელი პოლი-ტიკოსები, თავიდან ცდილობენ თავიდან აიცილონ მასობრივი გამოსვლები და სოციალური დაპირის-პირებები.

ძირითადი ინდიკატორი, რაც განასხვავებს მიზ-ნობრივ მიდგომას უნივერსალურისგან, არის ინდი-ვიდების ან შინამეურნეობების შერჩევითი დახმა-რება. ძირითადად მიზნობრივი პოლიტიკა მოიცავს მონეტარული შემწეობების სისტემას, როცა შერჩე-ული ინდივიდები ან შინამეურნეობები იღებენ პირ-დაპირ ფულად დახმარებებს. თუმცა, მიზნობრივი პროგრამების ინსტრუმენტები ბევრად უფრო ფა-რთოა. მიჩნეულია, რომ არსებობს რამდენიმე ტიპის სახელმწიფო ინტერვენცია, რომელიც შეიძლება ჯდებოდეს მიზნობრივი პროგრამების ლოგიკაში. ესენია:

- პირდაპირი ფინანსური დახმარება,
- საჯარო სამსახურები,
- ფასების სუბსიდირება და სოციალური ფო-ნდები.

სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეო-ბისთვის მიზნობრივი დახმარება ასევე შეიძლება მოიცავდეს ინფრასტრუქტურის, ელექტრო ენე-რჯისა და წყლის სისტემის რეაბილიტაციას. არ-სებობს ასევე ე.წ. In Kind დახმარებები მოიცავს, მაგალითად, ტალონების სისტემით მიზნობრივი ჯგუფებისთვის საკვების ან სხვა სოციალური მო-მსახურების მიწოდებას. ამ მხრივ აშშ-ში საკმა-ოდ ეფექტიანად მოქმედებს ე.წ. Food Stamp-ების სისტემა, რომლის საშუალებითაც მიზნობრივ ჯგუ-ფებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ გარკვეული რაოდენობის საკვები. საზოგადოებრივი სამუშა-ოები მოიცავს, სპეციალურად ღარიბებისთვის შე-თავაზებულ სამუშაოებს, რის სანაცვლოდ ღარიბი

დასაქმებულები იღებენ ან შესაბამის ხელფასს ან საკვებს. მიზნობრივი სუბსიდირება არის განკუთვნი-ლი ასევე მიზნობრივად შერჩეული ჯგუფებისთვის, რომლის მეშვეობითაც ღარიბები უფრო ნაკლებს იხდიან, მაგალითად, ელექტროენერჯიაში. მსგავსი პროგრამა არსებობდა საქართველოშიც 2011 წელს, როცა თბილისში პენსიონერებს სუბსიდირების შე-დეგად უფრო იაფად მიენოდებოდათ ელექტროენე-რჯია.

საქართველოში სოციალური დახმარების პოლი-ტიკა მიმართულია უკიდურესი სიღარიბისაგან გა-მონვეული შოკისაგან მოსახლეობის დაცვაზე. სო-ციალური დაცვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს სიღარიბის მკვეთრი შემცირება უკიდურესად ღა-რიბთა შორის და ამ ჯგუფის მინიმალური საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფა, აგრეთვე, სიღარი-ბის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორის კა-ტასტროფული სამედიცინო ხარჯების გამო გაღა-რიბებისგან დაცვა. სოციალური დაცვის სისტემის მთავარი ამოცანაა შშმ პირთა და ქრონიკულ სიღა-რიბეში მყოფთა დახმარება სოციალური პრობლე-მების გადასაჭრელად.

ბოლო წლების ეკონომიკურმა ზრდამ დადებითი გავლენა მოახდინა და მნიშვნელოვანი წვლილი შე-იტანა სიღარიბის რისკის შემცირებაში. 2005 წლის შემდეგ საქართველოში სიღარიბის დონე შემცირ-და, ამის პარალელურად შემცირდა სიღარიბის სიღ-რმე და სიმწვავე. ამის მიზეზი იყო ქვეყნის ეკონომი-კური ზრდის მაჩვენებლების გაუმჯობესება. ასევე მოხდა. მიზნობრივი სახელმწიფო დახმარებების დანიშვნა. გაიზარდა სახელმწიფო პენსია და ხელ-ფასები.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებუ-ლი სოციალური პაკეტი სოციალური დახმარების ერთ-ერთი სახეა, რომელიც მიზნად ისახავს, სოცი-ალური დაცვის შესაბამისი სისტემის შექმნას, მო-სახლეობის მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარების უზრუნველყოფისათვის. თუმცა, სოციალური პაკე-ტის ფარგლებში არსებული ფულადი გასაცემელი არ მიემართება ყველა შეზღუდული შესაძლებლო-ბის მქონე პირის საჭიროებას და საკმარისად არ ით-ვალისწინებს ზომიერად გამოსატყუი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა უმრა-ვლესობის ინტერესებს.

საქართველოს ეკონომიკური სისტემის ცვლი-ლება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, 1991 წელს დაიწყო, ისე როგორც ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში. განსხვავებით ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობისაგან, საქართვე-ლოში გარდამავალი პერიოდი გართულდა ტერი-ტორიული კონფლიქტებისა და ქვეყანაში 90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე შეიარაღებული სა-მოქალაქო დაპირისპირების გამო. 1990-1994 წლებ-

ში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 71 პროცენტით შემცირდა. 1994 წლიდან ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის შემდეგ, საქართველოში დაიწყო ნელი ეკონომიკური აღმავლობის ეტაპი. 1995-2003 წლების ეკონომიკური გამოცოცხლების პერიოდში საქართველომ ვერ შეძლო მიეღწია ეკონომიკის ზრდის მაღალი და სტაბილური მაჩვენებლებისათვის. 2004 წლიდან მთავრობის რადიკალურმა ლიბერალურმა რეფორმებმა განაპირობა საქართველოს უახლეს ისტორიაში უპრეცედენტო ეკონომიკური აღმავლობა.

2004 წლის შემდგომი რეფორმები მიზნად ისახავდა სიღარიბის შემცირებას ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების საშუალებით. სწრაფი ეკონომიკური განვითარების წინაპირობად საქართველოს მთავრობა სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევისაგან მაქსიმალურად თავისუფალ ეკონომიკურ გარემოს მიიჩნევდა. ასეთი მიდგომის პარალელურად, კორუფციის რადიკალურმა შემცირებამ, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებამ და გადასახადების განაკვეთების შემცირებამ შესაძლებლობა მისცა მთავრობას თითქმის 6-ჯერ გაზარდა სახელმწიფო ბიუჯეტი.

თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების პირველმა ეტაპმა ქვეყანას სწრაფი ცვლილებების გატარების შესაძლებლობა მისცა. სტაბილური სოციალური მდგომარეობის და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, სასიცოცხლოდ აუცილებელია ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპის ხანგრძლივად შენარჩუნება. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 10 % იძულებით გადაადგილებული პირია.

საქართველოში სოციალური დაცვის პოლიტიკა დაფუძნებულია მისამართულ დახმარებაზე. სადაც სოციალური პოლიტიკის მთავარ პრინციპად რჩება სახელმწიფოს მიერ რესურსების მიწოდება შეფასების სისტემის მიერ გამოვლენილი ყველაზე გაჭირვებული ადამიანებისათვის. ამავდროულად, სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა გააუმჯობესოს მისამართულობა და ამისათვის გამოიყენოს მრავალფეროვანი საშუალებები. ფულადი დახმარება და სამედიცინო დაზღვევის სქემის განვითარება ესენია მთავარი საფუძველი, რომელსაც სოციალური ინტეგრაცია, სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა ეყრდნობა.

არგუმენტები მიზნობრივი პროგრამების სასარგებლოდ, უნივერსალური პროგრამებისგან განსხვავებით, ის არის, რომ მიზნობრივი პროგრამები მორგებულია ღარიბების საჭიროებებს და ითვალისწინებს სიღარიბის ფენომენის კომპლექსურობას. მაშინ როცა უნივერსალური პროგრამები

აგებულია საყოველთაო პრინციპზე. მაგალითად, მინიმალური ხელფასი ერთგვარი საყოველთაო სიკეთეა, რომელიც მიმართულია არა რომელიმე კონკრეტულ ჯგუფზე, არამედ მთელი საზოგადოებაზე.

მეორე ძირითადი არგუმენტია ის, რომ მიზნობრივი პროგრამები რესურსების უკეთესად გადანაწილების საშუალებაა.

მიზნობრივი პროგრამების მხარდამჭერი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ უნივერსალურ პროგრამებს აქვს ორი ძირითადი პრობლემა. მაგალითად, უნივერსალური განათლების სისტემა, მილტონ ფრიდმანის აზრით [Friedman Milton. 1975. There's No Such Thing as a Free Lunch. LaSalle IL: Open Court. pp. 273-281] მორგებულია ძირითადად საშუალო და მდიდარი კლასის ინტერესებს, რადგან ღარიბ უბნებში მდებარე სკოლები მოკლებულნი არიან შესაბამის ინფრასტრუქტურას და მასწავლებლებსაც. ამის გამო ბავშვები არ დადიან სკოლებში ღარიბი უბნებიდან. მისი აზრით უნივერსალური განათლების სიკეთეს მოიხმარს ძირითადად შედარებით შეძლებულ უბნებში მცხოვრები ოჯახები, სადაც სკოლის ინფრასტრუქტურაც და მასწავლებლებიც უკეთესები არიან. შესაბამისად, მეცნიერთა ნაწილის აზრით, მიზნობრივი პროგრამები ამცირებს იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც არ ეკუთვნის ან საერთოდ არ სჭირდება დახმარება, რაც თვალსაჩინოა უნივერსალური პროგრამების შემთხვევაში.

სიღარიბის მიზნობრივი პროგრამების განხორციელება უმნიშვნელოვანესია, რადგან უნივერსალური მიდგომების გამოყენება ხელს უშლის ეკონომიკურ განვითარებას საბაზრო პრინციპების უხეში დარღვევის გამო. საბაზრო ეკონომიკა თავისთავად წარმოშობს სიღარიბეს და სწორედ ამ სიღარიბის შიში იწვევს ადამიანთა მაქსიმალურ მცდელობას ფეხი აუნყონ საბაზრო ძალებს.

ცნობილ მენიერ-ეკონომისტს, გრეგორი მენქიუს მოჰყავს საინტერესო სტატისტიკა, რომლითაც ცდილობს ახსნას, რომ საყოველთაო პროგრამები არ არის ეფექტიანი და უმჯობესია მიზნობრივი პროგრამების გატარება, რაც მინიმალურად მაინც ეხმარება ღარიბებს და ამასთან ერთად არ ხდება რესურსების გაფანტვა და საბაზრო პროცესებში უხეში ჩარევა. მენქიუ ასკვნის, რომ ფედერალური მინიმალური ხელფასის 9,50 აშშ დოლარამდე აწევით, ღარიბი მუშების მხოლოდ 11,3% ისარგებლებს, მაშინ როცა მიზნობრივი კეთილდღეობის პროგრამით (Food Stump), სარგებლობს ღარიბთა უდიდესი უმრავლესობა [Mankiw Gregory, 2012, 5th edition, Principles of Economics, p. 265].

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ უმთავრესი პრობლემა, რაც გააჩნია მიზნობრივ პროგრამებს, არის დიდი საფრთხე იმისა, რომ ღარიბი ადამიანები დარჩნენ დახმარების გარეშე. მართლაც, საკმაოდ

რთულია იმის განსაზღვრა, ვის სჭირდება დახმარება. არსებობს შემოსავლის და მოხმარების მზომი ინდიკატორები, თუმცა ემპირია ადასტურებს რომ ორივე შემთხვევაში იმ ღარიბ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც შეიძლება დარჩნენ სიღარიბის მიზნობრივი პროგრამების მიღმა, საკმაოდ მაღალია. ამის მიზეზი კი შეიძლება იყოს ინფორმაციის ნაკლებობა, რის შედეგადაც ხდება იმ ადამიანთა გამოთიშვა სიღარიბის მიზნობრივი პროგრამებიდან, ვისაც ეს ძალიან სჭირდება. ინფორმაციის ნაკლებობასთან ერთად მიზეზი შეიძლება გახდეს კორუფციისა და ნეპოტიზმის მაღალი დონე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოყალიბებული პრობლემიდან გამომდინარე, მაშინ როცა მოსახლეობის ღარიბი ფენის ნაწილი რჩება დახმარების გარეშე, პოლიტიკური მხარდაჭერა ასეთი პროგრამების მიმართ იკლებს. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელსაც არა აქვს ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა, განწირულია არაეფექტურობისთვის.

დაბოლოს, სიღარიბის აღმოფხვრის მიზნობრივი პროგრამები რთული განსახორციელებელია სუსტი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების პირობებში. ღარიბ სახელმწიფოთა უმრავლესობა არ გამოირჩევა მაღალი სტანდარტების ინსტიტუტებით. შესაბამისად, სიღარიბის მიზნობრივი პროგრამების განხორციელება, რომელიც საჭიროებს ძლიერი და

ეფექტური სახელმწიფო ბიუროკრატის არსებობას, განვითარებადი ქვეყნებისთვის ურთულესი ამოცანაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევროპის კომისია, დასაქმების, სოციალურ საქმეთა და ინკლუზიის მთავარი დირექტორატი; სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში, თბილისი 2011.
2. ხადური ნ. მაკროეკონომიკა და მაკროეკონომიკური პოლიტიკა, თბილისი 2005.
3. ხადური ნ. მაკროეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2009.
4. ბუკია ს. საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემა, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 2005,
5. G. Esping-Andersen, The Three Worlds of Welfare Capitalism summary, Princeton University Press, USA, 1990.
6. Wolters Jürgen, Money Demand in Europe, Humboldt University, Berlin, 1997.
7. Friedman Milton. 1975. There's No Such Thing as a Free Lunch. LaSalle IL: Open Court. pp. 273-281
8. J.Weiss. (ed) Poverty Targeting in Asia, Edward Elgar, Cheltenham 2005.
9. Mankiw Gregory, 5th edition, Principles of Economics, 2012.